ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ:

- თბილისში, გლდანის რაიონში ერთ-ერთი საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ტვ პირველის ჟურნალისტის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. დადგენილია სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად;

- მცხეთაში ერთ-ერთი საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის პირველი ნაწილით. გამოკითხული არიან ინციდენტის მხარეები, რომლებიც მომხდარის სხვადასხვა ვერსიაზე საუბრობენ;

- ადიგენში ოპოზიციის წარმომადგენლების ავტომანქანების საბურავების დაზიანების ორ ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. მიმდინარეობს ოპერატიული და საპროცესო მოქმედებები დანაშაულის ჩამდენი პირების დასადგენად;

- ბათუმში საარჩევნო უბნების მიმდებარედ მმართველი პარტიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის ორ ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის პირველი ნაწილით. გამოიკითხნენ დაზარალებულები. ამ ეტაპზე არც ერთ ფაქტზე არ იკვეთება დანაშაულის ნიშნები;

- თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. გამოკითხულია დაზარალებული და ფაქტის შესახებ ინფორმაციის მქონე მოწმეები. ამ ეტაპზე გამოკითხული პირებისთვის უცნობია დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის ვინაობა;

- რუსთავში მარკირებაგავლილი პირების მიერ ხმის განმეორებით მიცემის მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1642 მუხლით. გამოვლინდა ასეთი 19 შემთხვევა. მიმდინარეობს შესაბამისი პირების გამოკითხვა, დანიშნულია ექსპერტიზები;

- თბილისში, ლილოს დასახლებაში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. გამოკითხულია დაზარალებული. მიმდინარეობს ოპერატიული მოქმედებები დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად;

- აბაშის საარჩევნო ოლქში, მე-10 უბანზე მმართველი პარტიიდან საკრებულოს წევრის მიერ ხმის მიცემის ფარულობის შესაძლო დარღვევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 164-ე მუხლით. გამოკითხულნი არიან მოწმეები;

- დუშეთში საარჩევნო უბანზე ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ ჩადენილი ქურდობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 177-ის 1-ლი ნაწილით;

- ჩუმლაყში მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამ ეტაპზე როგორც მოწმეების გამოკითხვით ირკვევა, აღნიშნულს კავშირი არ აქვს არჩევნებთან და სახეზე არ არის პოლიტიკური მოტივი. გასროლა განხორციელდა ჩუმლაყის N19-ე საარჩევნო უბნიდან მოშორებით მდებარე დასახლებულ უბანში, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის მიერ,

სავარაუდოდ ე.წ. სასიგნალო იარაღიდან. დანიშნულია ექსპერტიზა. ამ ეტაპზე დანაშაული არ დასტურდება;

- ქუთაისში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის 1-ლი ნაწილით. გამოკითხულნი არიან დაზარალებული და მოწმეები, დანიშნულია ექსპერტიზა;

- ბათუმში საარჩევნო უბანთან მმართველი პარტიის კოორდინატორის ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. გამოკითხულია დაზარალებული, დანიშნულია ექსპერტიზა;

- გორში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის დამკვირვებლის ავტომანქანის სანომრე ნიშნის ქურდობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით. გამოკითხულია დაზარალებული და მოწმე;

- ბოლნისში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის მხარდამჭერის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის 1-ლი ნაწილით. გამოკითხულია შეტყობინების ინიციატორი. ამ ეტაპზე ფიზიკური ძალადობა არ დასტურდება;

- რუსთავში საარჩევნო უბანზე ოპოზიციის წარმომადგენლების უკანონოდ შეჭრის და კომისიის მუშაობისთვის ხელშეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 163-ე მუხლით. მიმდინარეობს ოპერატიული მოქმედებები დანაშაულის ჩამდენი პირების დასადგენად;

- რუსთავის საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის მხარდამჭერის მიმართ ძალადობის და მისი ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის 1-ლი ნაწილით და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მიმდინარეობს მოწმეების გამოკითხვა, ტარდება საგამოძიებო მოქმედებები;

- თბილისში, გლდანის რაიონში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მმართველი პარტიის დამკვირვებლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- მარნეულში, სოფელ იმირში, საარჩევნო უბანთან ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან ხულიგნობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

- ლაგოდეხში ოპოზიციის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით. გამოკითხული არიან შესაბამისი პირები, ამოღებულია ე.წ. სასტარტო იარაღი, დანიშნულია ექსპერტიზა. ამ ეტაპზე დანაშაული არ დასტურდება;

- ბოლნისში საარჩევნო უბანზე ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 1621 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- თბილისში, დიდუბის რაიონში ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე on.ge-ის ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- თბილისში, გლდანის რაიონში საარჩევნო უბანზე ფანჯრის მიზნის დაზიანების ფაქტზე გამოძიება დაიწყო 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულის ფაქტის დადასტურების ან/და უარყოფის, დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენის და მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მიზნით. ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით იკვეთება როგორც ოპოზიციური, ისე მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით, არ მოხდა იმ მოწმეთა გამოკითხვა, რომლებიც საარჩევნო უბნებზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ.

თითოეულ საქმეზე ინტენსიურად ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები - იკითხებიან მოწმეები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. გამოძიების პროგრესის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია უახლოეს დღეებში დამატებით მიეწოდება.